საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 27

20 12 წ. " 01 " 02

ქ. თბილისი

„სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წიგნის დიზაინისა და ილუსტრაციის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 1 თებერვლის სხდომის №1 ოქმის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წიგნის დიზაინისა და ილუსტრაციის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №149 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წიგნის დიზაინისა და ილუსტრაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით".
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ხოფერია

მდივანი
დიმიტრი ალავიძე